ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს წევრის

ნინო რუხაძის ანგარიში

(საანგარიშგებო პერიოდი: 2019 წლის 1 ნოემბერი - 2020 წლის 1 ნოემბერი)

საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა - საანგარიშგებო პერიოდში მონაწილეობა მაქვს მიღებული საკრებულოს 20 სხდომაში.

საქმიანობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში - ვარ საკრებულოს ორი კომისიის: იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიისა და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრი. გარდა ამისა, ვესწრები საკრებულოს სხვა კომისიების სხდომებს, როდესაც ამ კომისიის სხდომებზე განიხილება თბილისისთვის განსაკუთრებით საჭირბოროტო საკითხები ან ჩემი ინტერესის სფეროში შემავალი თემები.

კომისიების მუშაობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საკრებულოს საქმიანობაში. კომისიების ფარგლებში ხდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ საკრებულოში წარდგენილი ინიციატივების პირველადი არსებითი განხილვა და შეფასება. კერძოდ, ზემოაღნიშნული კომისიების ფარგლებში ჩემი საქმიანობა მოიცავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრების საქმიანობასთან, დაგეგმილ პროექტებთან დაკავშირებით ანგარიშების მოსმენას, კითხვების დასმასა და შეფასებას; თბილისელებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებზე თბილისის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთათვის კითხვების დასმასა და განმარტებების მიღებას; თბილისის მთავრობის მიერ საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტების შესწავლას, კრიტიკულ ანალიზს, ცვლილებების შეთავაზებას; თბილისის ბიუჯეტის პროექტის განხილვას; თბილისის მთავრობის წევრობის კანდიდატებთან გასაუბრებას, მათთვის კითხვების დასმას, მათი ხედვებისა და სამუშაო გეგმების გაცნობას.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის ფარგლებში განხილულ საკითხებს შორის განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს შემდეგი საკითხები - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი; გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების და აუტისტური სპექტრის მქონე პირების მკურნალობის დაფინანსების გაზრდა; დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები; ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრების საცხოვრებელი სახლებით დაკმაყოფილების მიზნით

განხორციელებული ღონისძიებები; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესში შესატანი ცვლილებები, რაც გულისხმობს თანამონაწილეობის პროცენტის 10-იდან 5-მდე შემცირებას; დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში უძრავი ქონების პრივატიზება, მათ შორის, საცხოვრებელი ფართების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, და მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემა; კორონავირუსის პანდემიის პირობებში ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების მოიჯარეთა მიმართ ამოქმედებული ხელშემწყობი ღონისძიებები; ქვესასესხო ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი 75 მილიონი ევროს ათვისებას თბილისის მეტროს მოძრავი შემადგენლობის შეძენის, დეპოსა და გვირაბების რეაბილიტაციის მიზნით.

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის ფარგლებში რეგულარულად მიმდინარეობდა ანგარიშების მოსმენა თბილისის მერიის მიერ ინიცირებულ ტურიზმისა და ბიზნესის სტიმულირების, “ღამის თბილისის” პროექტებთან დაკავშირებით.

ჯამში საანგარიშგებო პერიოდის მანძილზე მონაწილეობა მაქვს მიღებული იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიისა და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის 28 სხდომაში.

მოსახლეობასთან შეხვედრები - წარმომადგენლობითი ფუნქციის სრულფასოვნად შესრულების მიზნით ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის, უმთავრეს ინტერესს წარმოადგენს თბილისის მაცხოვრებლების საჭიროებებისა და პრობლემების გარკვევა; თბილისის წინაშე არსებული გამოწვევების გადაჭრის გზებსა და ქალაქის განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით მოქალაქეების ხედვებისა და მოსაზრებების გაცნობა. ამის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდში მქონდა პირდაპირი ან დისტანციური კომუნიკაცია მოსახლეობასთან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში თბილისისა და თბილისელების ინტერესების წარმოდგენისა და დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრობა - 2020 წლის თებერვლიდან ვარ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრი. კომისიის მანდატია ფიზიკური პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ განცხადებების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება. საანგარიშგებო პერიოდში ჩატარდა კომისიის 40 სხდომა, განხილულ იქნა 1973 საკითხი, ადგილზე დათვალიერდა 170 მიწის ნაკვეთი.

ფრაქციის "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" საქმიანობაში მონაწილეობა - 2019 წლის სეტემბრიდან ვასრულებ ფრაქციის მდივნის მოვალეობებს. საანგარიშგებო პერიოდში მონაწილეობა მაქვს მიღებული ფრაქციის 16 სხდომაში.